სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის ჟურნალისტთა კლუბი

დებულება

თანამედროვე სამყაროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, საინტერესო და გავრცელებული პროფესია - ჟურნალისტიკაა. დღესდღეისობით, დიდია ამ პროფესიით დაინტერესებული ახალგაზრდების რიცხვი, ჟურნალისტიკის კლუბის შექმნა იმოქმედებს სკოლის განვითარებაზე, რაც ნათლად აისახება მოსწავლეებზეც. ამ მიზნით, სკოლაში ჩატარდა გამოკითხვა და გამოკითხულ მოსწავლეთა 100% (100 მოსწავლე), ფიქრობს, რომ ეს ინოვაციური ინიციატივა, აუცილებელია სკოლის ჯანსაღი მომავლისთვის და მოსწავლეების განვითარებისთვის.

მუხლი 1. მიზანი

- ჟურნალისტთა კლუბის მიზანია მოსწავლეებისთვის ჟურნალისტიკის ძირითადი საკითხების შესწავლა.
- რეალობის გაანალიზებისა და გადმოცემის უნარების დანერგვა,
- ჟურნალისტიკის ცალკეული თეორიული ნაწილების შესწავლას და ტექნიკური საკითხების დახვეწას.

მუხლი 3. ამოცანები

- ჟურნალისტიკის სწავლება;
- ჟურნალისტიკის პოპულარიზაცია;
- სკოლის მედია-არხის შექმნა;
- პროფესია - ჟურნალისტიკის განვითარება მოსწავლეებში;
- თეორიის სწავლება და უნარების განვითარება შემდეგი მიმართულებებით

მუხლი 4. ჟურნალისტიკის თეორიის ძირითადი დებულებები (მედია ტექსტების - ბეჭდური, აუდიო, ვიდეო, ახალი მედიის მომზადების ძირითადი უნარი);

- რესპოდენტთან (წყაროსთან) მუშაობა;
- კომუნიკაციის დამყარება;
- რეალობის გაშუქების ოპტიმალური ფორმები;
- სიახლეების შერჩევა-ათვისების და მათი სრულყოფა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენება;
- ბეჭდური, სამაუწყებლო და ახალი მედიისთვის მედია პროდუქტის მომზადება.

მუხლი 5. განხორციელების გზები

- მოსწავლეები შეასწავლიან დებატებს,
- მოვიწვევთ აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტებს მასტერკლასის ჩასატარებლად
- მოვაწყობთ ექსკურსიას აჭარი რადიო-ტელევიზიის დეპარტამენტში

მუხლი 6. სამიზნე ჯგუფი - ბენეფიციარები

- კლუბი გათვლილია: მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის.
- კლუბს ხელმძღვანელობს თვითმმართველობის თავ-რე

მუხლი 7. სამოქმედო გეგმა

- შეიქმნება კლუბი (23 თებერვალს);
- შეირჩევა სამუშაო ადგილი კლუბისთვის (31-ე აუდიტორია);
- დაიწყება კლუბში მოსწავლეების გაწევრიანება (მე-9-12 კლასის მოსწავლეები);
- კლუბი დაიწყებს აქტიურად მუშაობას:
    - ✓ შეხვედრა N1 - მოსწავლეების რეგისტრაცია - კლუბის მიზნების და სამუშაო გეგმის გაცნობა;
    - ✓ შეხვედრა N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9 და N10 - სწავლება შემდეგი მიმართულებებით: კლუბი დაიწყებს ფუნქციონირებას 23 თებერვალს და განაგრძობს

9 ივნისამდე. კლუბზე ჩატარებული მონიტორინგის შედეგის მიხედვით, კლუბი განაახლებს მუშაობას შემდეგ სასწავლო სემესტრშიც.

მუხლი 9. განმახორციელებელი ჯგუფი

კლუბს მართავს და ჟურნალისტიკის სწავლებას გაუძღვება, სკოლის, მოსწავლეთა თვითმმართველობის საბჭო და კლუბის წევრი მოსწავლეები. ასევე, ჟურნალისტიკას შეასწავლიან და ჩაუტარებენ მასტერკლასებს მოწვეული მენტორები: „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის ჟურნალისტები“, ტელეკომპანია „აჭარის ტელევიზიის“ ჟურნალისტები და ტელეკომპანია „TV 25-ს“ ჟურნალისტები.

.